

„ათას ერთი ღამის“ ახალი ქართული თარგმანი

ყოველი ერის კულტურა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად მაღალ დონეზე აქვს თარგმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგლები. ქართველებს კულტურულ, განათლებულ ხალხად მოგვაქვს თავი, თუმცა საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ამგვარი მემკვიდრეობის მიმართ სულ სხვა რამეზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ხშირად საქმეს არაპროფესიონალები კიდებენ ხელს. განსაკუთრებით მტკივნეულია, როდესაც უვიცეები თარგმნიან. თარგმანი ხომ ხელოვნებაა. მათ ხელში კი ის, ყოველგვარი კანონის დარღვევით, ხელოსნობად, ფულის შოვნის საშუალებად იქცევა.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის და არა მარტო არაბული ლიტერატურის ნიმუშმა „ათას ერთი ღამე“ თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ცნობილია, რომ ინდური, ირანული, არაბული, ეგვიპტური თუ ბერძნული წარმომავლობის ზღაპრების ეს კრებული ღამის ბოკაჩომდე „სიუჟეტების საკუჭნაოს“ წარმოადგენდა ევროპული ლიტერატურისთვის. მოგვიანებით კი ის მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია გალანის ფრანგული, ლეინის ინგლისური და ლიტმანის გერმანული თარგმანი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე, რომელიც არაერთხელ იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, მოხიბლული იყო „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანით, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსმა ნანა ფურცველაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, აწ გარდაცვლილმა თინა მარგველაშვილმა შეასრულეს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ გიორგი წერეთლის ინიციატივით დაიწყო და ოცდაათი წელი გაგრძელდა „ათას ერთი ღამის“ ქართულ თარგმანზე მუშაობა. 1967 - 1997 წლებში გამოიცა რვა ტომი, რომელთაგან I, II, V და VI ნანა ფურცველაძემ თარგმნა<sup>1</sup>, ხოლო III, IV, VII და VIII – თინა მარგველაშვილმა<sup>2</sup>. ეს აკადემიური თარგმანი ხანგრძლივი, სკრუპულოზური კვლევის შედეგი გახლავთ. მოგესხენებათ, შუასაუკუნეების ძეგლის თარგმნა მხოლოდ სათარგმნი ენის კარგ ცოდნაზე არ არის დამოკიდებული. ეს პროცესი ტექსტის მეცნიერულ ინტერპრეტაციასაც გულისხმობს იმისათვის, რომ სხვადასხვა ტერმინებისა თუ გამოთქმების ზუსტი ადეკვატი მოიძებნოს და არ დამახინჯდეს კულტურული და ყოფითი რეალიები. არაბული ლექსების მაქსიმალური სიზუსტით შესრულებული პოეზიები ვ. კოტეტიშვილმა გალექსა. მთარგმნელების შრომა წარმატებით დაგვირგვინდა და „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანი ივანე მაჩაბლის პრემიით აღინიშნა. საქართველოში გამოქვეყნებულ არაერთ დადებით

<sup>1</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, ღამე 1-45, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცველაძემ, თბილისი, 1967.

<sup>2</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი VIII, ღამე 931-1001, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, თბილისი, 1997.

რეცენზიას მოჰყვა გამოსმაურება საერთაშორისო კონფერენციებზე პოლონეთში („აღმოსავლური ენები თარგმანში“, კრაკოვის მე-3 საერთაშორისო კონფერენცია, 7-8 აპრილი, 2008), ეგვიპტესა („თარგმანი და ეპოქის გამოწვევები“, კაირო, 28-31 მარტი, 2010) და იორდანიაში („ათას ერთი ღამის კრიტიკული აღქმა საერთაშორისო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“, ალ-ბაითის უნივერსიტეტი, ქ. მაფრაკი, 13-14 აპრილი 2011).

2012 წელს ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკამ „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის ანოტაციული გამოსცა.<sup>3</sup> ეს ვაი-თარგმანი გაიყიდა, როგორც ჟურნალის დამატება, თუმცა არც ისეთი იაფფასიანი გამოცემა გახლავთ. ეტყობა, მავანმა გადაწყვიტა, საკუთარი შემოსავლები „ათას ერთი ღამის“ ხარჯზე გაემდიდრებინა. სხვათა შორის, ევროპაში დღემდე ძალიან პოპულარულია „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები, გამოდის მათი გადაკეთებული ვარიანტებიც, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ ეს არის ე.წ. remake-ი. ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკას კი პრეტენზია აქვს, რომ ორიგინალს გამოსცემს. ახლადგამომცხვარ ქართულ თარგმანს ჰყავს მთარგმნელთა კოლეგია (თავ-რე დავით აბულაძე, წევრები: ეკატერინე ჭკადუა, მარინე ნაკაიძე, ირინა სვიანიძე), თუმცა არ არის მითითებული, თუ რა ენიდან არის შესრულებული თარგმანი. (სამწუხაროდ, ესეც ხშირი მოვლენაა ჩვენს რეალობაში, როდესაც საკმაოდ პრიალა და ძვირადღირებულ გამოცემას აწერია მთარგმნელის სახელი, გვარი და მითითებული არ არის სათარგმნი ენა).

ამ ფართოდ რეკლამირებულ გამოცემაში არა მარტო მოხსენიებული არ არის, რომ ქართული თარგმანი აქამდე არსებობდა, არა მარტო ნახსენებიც არ არიან ნ. ფურცელაძე და თ. მარგველშვილი, არამედ შესავლის სახით სიტყვა-სიტყვითაა გადმოღებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილი სტატია (ეს გახლავთ 1967 წელს გამოცემული „ათას ერთი ღამის“ I ტომის შესავლის შემოკლებული ვარიანტი) და მითითებული არ არის ავტორი გ. წერეთელი. შესავლის გადამწერებს ასევე „გამორჩათ“ წერეთლის სტატიის ბოლო ფრაზა: „ქართულად 1967 წ-მდე სულ რამდენიმე არაკი იყო თარგმნილი რუსულიდან. 1967 წ-დან კი იბეჭდება „ა. ე. ღ.“ - ის თარგმანი არაბულიდან.“<sup>4</sup> გამორჩათ თუ შეგნებულად გამოტოვეს?! ახალი გამოცემის შესავალი მთავრდება სიტყვებით „ათას ერთი ღამე“ თარგმნილია მრავალ ენაზე“<sup>5</sup>. შესავალში ნახსენებია ფრანგული თარგმანი, ქართული კი ვითომ არც ყოფილა. ეს უბრალოდ არაეთიკურია.

მაგრამ არაეთიკურობა გვერდზე რჩება, როდესაც წიგნს გადაშლი და პირველივე ტომის პირველივე ფრაზაში შეცდომას წააწყდები:

არაბულ ვარიანტში სიტყვასიტყვით ასეა:

„დიდება ალაჰს, სამყაროთა უფალს, კურთხევა და გამარჯვება მოციქულთა ბატონს, ჩვენს ბატონსა და მეუფეს მუჰამადს...“<sup>6</sup>

ახალ ქართულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

---

<sup>3</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012.  
<sup>4</sup> გ. წერეთელი, „ათას ერთი ღამე“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, 1975, გვ. 224.  
<sup>5</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012, ტომი I, გვ. 2.  
<sup>6</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 17.

„დიდება ალაჰს, სამყაროთა მბრძანებელს! დიდება და კურთხევა მოციქულთა ბატონს და ჩვენი დიდი მეუფის, მუჰამედის პატრონს!“<sup>7</sup>

სინამდვილეში კურთხევა ეკუთვნის მოციქულ მუჰამადს და არა მის „პატრონს“. შესაძლოა, მთარგმნელს მოციქულთა ბატონი ალაჰი ჰგონია. გამოდის, რომ ალაჰმა აკურთხა ალაჰი.

ცნობილი ფაქტია, რომ შუასაუკუნეებში ნებისმიერი არაბული წიგნი, იქნებოდა ეს ზღაპართა კრებული, ისტორიული ქრონიკა თუ გრამატიკული ტრაქტატი, განსაზღვრული ფორმულით იწყებოდა. სავარაუდოდ, წიგნი რუსულიდან ითარგმნა. მართალია, სალიეს რუსული თარგმანი კალკუტის ვერსიას ვერდნობა, ფურცელადისა და მარგველაშილის ქართული თარგმანი კი – ეგვიპტურ, ბულაკის ვერსიას, დასაწყისი ყველგან ერთნაირია. ფორმულარული დასაწყისი ყველა თარგმანში სრული სიზუსტით უნდა იყოს დაცული. მაგალითად: „და როდესაც დადგა ღამე მეოთხე, შეჰრაზადმა თქვა: ...“<sup>8</sup>, „და როდესაც დადგა ღამე მეხუთე, შეჰრაზადმა თქვა: ...“<sup>9</sup>, „და როდესაც დადგა ღამე მეექვსე, შეჰრაზადმა თქვა: ...“<sup>10</sup> და ა.შ.

ეს წესი ახლადშესრულებულ ქართულ თარგმანში დარღვეულია. ახალი ქართული ვარიანტის „მთარგმნელებს“ (თუ ის რუსულიდან თარგმნეს) რუსული ტექსტიც ვერ გაურჩევიათ. მათ, უბრალოდ, არ ესმით შუასაუკუნეების ლიტერატურის სპეციფიკურობა.

საერთოდ, „ათას ერთი ღამის“ ახალი თარგმანის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ მთარგმნელმა არა მარტო არ იცის არაბული ენა და ვერ ერკვევა არაბულ კულტურაში (უფრო ზუსტად კი, ზოგადი წარმოდგენაც არა აქვს აღმოსავლურ სამყაროზე), არამედ მან არ იცის არც რუსული და არც ქართული, ბევრი რამ კი უკვე არსებული თარგმანიდან აქვს გადაწერილი. გარდა ამისა, ის საერთოდ ვერ ერკვევა მხატვრული თარგმანის თეორიულ საკითხებში. მაგალითად, არ იცის, რომ ნეოლოგიზმები მედიევისტური ძეგლის თარგმნისას არ უნდა გამოიყენოს. ის წერს:

„ვგრძნობ, როგორ მეწამლება მთელი ორგანიზმი.“<sup>11</sup>

სიტყვა „ორგანიზმი“ აქ სრულიად უადგილოა. სასაცილოა, როცა ზღაპრის პერსონაჟი ამბობს ამას.

„მთარგმნელმა“ არ იცის არაბული და არ იცნობს არაბულ სამყაროს:

1. „მთარგმნელთა კოლეგიამ“ არ იცის, რომ სწორი ფორმა „კაიროა“ და არა „ქაირო“,<sup>12</sup> „მისრეთი“ და არა „მასრეთი“<sup>13</sup>, „იფრითი“ და არა „იფრიტი“<sup>14</sup> და მრავალი სხვა. არ გაუგიათ, რომ არაბულ ქვეყნებში, ძველი ადათის მიხედვით, ქალიშვილს ათხოვებდნენ მამის ძმის შვილზე და არა

<sup>7</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012, გვ. 5.

<sup>8</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 46.

<sup>9</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 51.

<sup>10</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 60.

<sup>11</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 46.

<sup>12</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 167, 168...

<sup>13</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 143.

<sup>14</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 143.

- მამიდაშვილზე და დეიდაშვილზე, როგორც აქ არის განმარტებული.<sup>15</sup> არც ის სმენიათ, რომ იფრითი და მარიდი ყოველთვის ბოროტი სულელებია. ამიტომ მკითხველისათვის განუმარტავთ: „ჯინი, იფრითი და მარიდი კეთილი ან ბოროტი სულელებიაო“<sup>16</sup> და სხვ.
2. საკუთარი სახელის „ხალიდ იბნ აბდ ალ-ლაჰის“ ნაცვლად „ხალიდ იბნ ალაჰი“ დაუწერიათ.<sup>17</sup> „აბდ ალ-ლაჰი“ ნიშნავს „ალაჰის მონის ძეს“, „მუსლიმის ძეს“. „იბნ ალაჰი“ ნიშნავს „ალაჰის ძეს“. ალაჰს ძე არ ჰყოლია. არც ასეთი საკუთარი სახელი არსებობს.
  3. რუსულის გავლენა და არაბულის უცოდინრობა ჩანს ზოგიერთ არაბულ საკუთარ სახელში. მაგალითად, გვხვდება „ხარუნ არ-რაშიდი“ ნაცვლად „ჰარუნ არ-რაშიდისა“<sup>18</sup>, ან ქალაქი „ხირა“ ნაცვლად „ჰირასი“<sup>19</sup> და სხვა.
  4. „მთარგმნელმა“ არ იცის არაბული ტოპონიმია. ის წერს: „ერთხელ სალოცავად კუფუს გავლით მექაში წავედი.“<sup>20</sup> აქ „კუფუში“ ქალაქი ქუფა „იგულსხმება“. ჩანს, ამ ქალაქზე „მთარგმნელს“ არაფერი სმენია.
  5. საერთოდ გაუგებარია, რა წერია წინადადებაში – „ჩამოვიდა კისრის ალ-ხირაში.“<sup>21</sup> ალ-ხირა ალბათ ალ-ჰირაა (რუსულის გავლენა). ალ-ჰირა კი ქალაქია. ამ ტოპონიმს კისერთან არავითარი კავშირი არა აქვს. არაბულ ტექსტშია „ქისრა“, რაც ირანელ მეფეთა ტიტულია. რუსულშია: „прибыл в аль-Хиру от Кисры к Хуману“<sup>22</sup> ანუ „ჩამოვიდა ჰირაში ქისრასაგან ნუმანთან.“ ფრაზის შინაარსიც ვერ გაურკვევია. მკითხველმა რა უნდა გაიგოს?!
  6. „მთარგმნელმა“ არ იცის, რომ იმ ეპოქაში, როცა „ათას ერთი ღამე“ იქმნებოდა, ისლამისტები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ: „გადავწყვიტე, მზაკერულად მივიდე ისლამისტების ღაშქართან.“<sup>23</sup> და სხვ.

„მთარგმნელმა“ არ იცის რუსული:

1. უნდა იყოს „სუაბსა და კაფურს ... უბრძანა“, ახალ „თარგმანში“ კი არის: „სუაბუსა და კაფურუს ... უბრძანა“<sup>24</sup> აშკარაა, რომ „მთარგმნელი“ ვერ ცნობს რუსულ ბრუნვის ნიშნებს: «Велела Суаб-у и Кафур-у».<sup>25</sup> „უ“ ძირეული ხმოვანი ჰგონია და არა ბრუნვის ნიშანი.
2. რუსულ ვარიანტშია: «Направился через Куфу», „თარგმანში“: „ერთხელ სალოცავად კუფუს გავლით მექაში წავედი.“<sup>26</sup> „მთარგმნელს“ ბრუნვის ნიშანი ისევე ძირეული ხმოვანი ჰგონია.

<sup>15</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 14.

<sup>16</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 9.

<sup>17</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 9.

<sup>18</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 51.

<sup>19</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი V, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 282.

<sup>20</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი III, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 182.

<sup>21</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი V, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 282.

<sup>22</sup> *Тысяча и Одна Ночь*, перевод с арабского М.А Салье, Том IV, Ночи 270-434, Л., 1958, გვ. 415.

<sup>23</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი V, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 253.

<sup>24</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 69.

<sup>25</sup> *Тысяча и Одна Ночь*, перевод с арабского М.А Салье, Том III, Ночи 145-270, Л., 1959, გვ. 35.

<sup>26</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი III, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 182.

3. უნდა იყოს: „მაიმუნა იფრითმა დაჰნაშ იფრითს უთხრა.“<sup>27</sup> არის: „მაიმუნამ დახნაშუს უთხრა.“<sup>28</sup> (შდრ: «Маймуна сказала Дахнаш-у»). იგივე პრობლემაა, ბრუნვის ნიშნის ვერცნობის.
4. რუსულ თარგმანშია: «Говорят, что когда к Абд-Аллаху ибн Шеддаду явилась смерть...», ახალ ქართულ „თარგმანშია“: „ამბობენ, რომ როცა აბდ ალ-ლაჰ იბნ შედადუმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო...“<sup>29</sup> უნდა იყოს: „ამბობენ, როდესაც აბდ ალ-ლაჰ იბნ შადადს აღსასრული მოადგა...“<sup>30</sup> აქაც ქართულ სიტყვას ერთვის როგორც რუსული, ისე ქართული ბრუნვის ნიშანი. ეს ერთგვარი ფილოლოგიური სასწაულია.
5. რუსულ თარგმანშია: «любящий пророка избранника»<sup>31</sup>, ახალ ქართულ თარგმანში: „მოციქულის რჩეულო მოყვარენო...“<sup>32</sup> უნდა იყოს: „ო, რჩეული მოციქულის მოყვარულო...“<sup>33</sup>
6. რუსულ ვარიანტშია: Берегись этого, господин.<sup>34</sup> უნდა იყოს: „ერიდე ამას, ბატონო.“ არის: „იმ კაცს ერიდე.“<sup>35</sup>
7. калдуня თარგმნილია როგორც „ბოროტი ქალი“<sup>36</sup> და არა როგორც „ჯადოქარი“.
8. верблужий повод თარგმნილია, როგორც „აქლემის მათრახი“ და არა „აღვირი“.
9. город Мира – მშვიდობის ქალაქი, მშვიდობის სავანე, რომელშიც ბაღდადი იგულისხმება, თარგმნილია, როგორც „ქალაქი მირა“.<sup>37</sup>
10. Книга – ში (დიდი ასოთი) იგულისხმება „ყურანი“ და არა „ქორწინების წიგნები“, როგორც „მთარგმნელს“ ჰგონია.<sup>38</sup> ხოლო ყურანი და სუნნა არის არა „წიგნები“, არამედ მოციქულ მუჰამადის გამონათქვამთა და საქმეთა კრებული, რომლითაც ხელმძღვანელობენ მუსლიმები.

„მთარგმნელმა“ არ იცის ქართული:

1. არ ესმის, რას ნიშნავს „მსტოვარი“: „ექიმთან მსტოვარი გაგზავნა.“<sup>39</sup> კონტექსტიდან გამომდინარეც კი აშკარაა, რომ ჯაშუში ნამდვილად არ გაუგზავნია.
2. „მშვენიერებისა და თვალტანადობის მამავ...“<sup>40</sup>

---

<sup>27</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი III, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 19.  
<sup>28</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი III, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 282.  
<sup>29</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 179.  
<sup>30</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი III, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 64.  
<sup>31</sup> *Тысяча и Одна Ночь*, перевод с арабского М.А Салье, Том I, Ночи 1-38, Л., 1958, გვ. 208.  
<sup>32</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 250.  
<sup>33</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 157.  
<sup>34</sup> *Тысяча и Одна Ночь*, перевод с арабского М.А Салье, Том II, Ночи 39-145, Л., 1958. გვ. 119.  
<sup>35</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 159.  
<sup>36</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 60.  
<sup>37</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 42.  
<sup>38</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 83.  
<sup>39</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 43.  
<sup>40</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 64.

3. „ყველაზე პირველად...“<sup>41</sup>
4. „წინასწარმეტყველება, რაც მოხდება“, „ახდებას“ ნაცვლად.<sup>42</sup>
5. „სასირცხვო“ „სარცხვინელის“ ნაცვლად<sup>43</sup> და სხვა სიტყვები თუ გამოთქმები ტექსტს სრულიად გაუგებარს ხდის.
6. „მთარგმნელი“ არა ერთგან წერს: „არა არს ღმერთი გარდა თვინიერ ალაჰისა“ და არ იცის, რომ „თვინიერ“ იგივეა, რაც „გარდა“. ჩანს, უკვე არსებული თარგმანიდან გადმოწერა „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“, თავის ჭკუით „გაათანამედროვა“ და ჩაუმატა „გარდა“. შედეგად გამოვიდა „არა არს ღმერთი გარდა გარდა ალაჰისა“. შეიძლება, ძველი ქართული სიტყვა „თვინიერ“ მთარგმნელს „თვინიერი“ ჰგონია. ვინ უწყის?!

ვერც ერთ მსოფლიო თანამედროვე თუ ისტორიულ რუკაზე ვერ იპოვით მსოფლიო ქალაქ მირას, კუფუს, კისრის ალ ხირას და სხვ. ეს „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები“ ეკუთვნის „მთარგმნელთა კოლეგიას“, რომლის წევრებმაც არ იციან, რომ ხშირად მთარგმნელს ავტორზე მეტი განათლება მოეთხოვება. ისეთი დიდი ამოცანის დაძლევა, როგორც „ათას ერთი ღამის“ თარგმნა, კარგი მომზადება სჭირდება. სათანადოდ ვერმომზადებულმა „მთარგმნელებმა“ საქმე გადაწერით გაიადვილეს.

ტექსტში უამრავი მასალაა იმის დასადასტურებლად, რომ „მთარგმნელთა კოლეგია“ უკვე არსებული ქართული თარგმანით სარგებლობდა. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

1. ქართველი არაბისტების მიერ თარგმნილ „ათას ერთი ღამეში“ მთავარი გმირის, მთხრობელის სახელი „შაჰრაზადი“ არაბული საკუთარი სახელის ზუსტი ტრანსლიტერაციაა. რუსულ ვერსიაში „შახრაზადა“ (Шахразад). როგორც ჩანს, ახალ გამოცემაში უკვე არსებული ქართული ვერსიიდან არის ნასესხები „შაჰრაზადი“ ისევე, როგორც „დუნიაზადი“, რადგან რუსულში „დუნიაზადაა“. თუმცა „მუჰამედი“ რუსულის ანალოგიით დაუწერიათ. არაბულთან უფრო ახლოს „მუჰამადია“, რადგან არაბულ სალიტერატურო ენაში „ჟ“ ფონემა არ არის, და ქართულ თარგმანშიც ასეა ისევე, როგორც საკუთარი სახელი „ბადრ ად-დინი“. სხვათა შორის, არაბულიდან მოდის ქართული სახელი ბადრი და არა ბედრი, ახალ ვარიანტში ბედრ ად-დინია... რუსულ თარგმანშია „სულეიმანი“ (სოლომონ მეფე), ქართულში – „სულაიმანი“ (არაბულის ზუსტი ადეკვატი). მთარგმნელს ხან ერთი აქვს გამოყენებული, ხან მეორე,<sup>44</sup> რაც წიგნის „რედაქტორს“, ქ-ნ მარინა სარალიძესაც გამოჰპარვია.
2. არის რიგი სიტყვები, რომელიც რუსულ ვარიანტში არ გვხვდება და გადაწერილი ჩანს ქართულიდან: მაგალითად, ПУСТЫНЯ ნათარგმნია, როგორც

<sup>41</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 119.

<sup>42</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 119.

<sup>43</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 46.

<sup>44</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 31-32.

„ტრამალი“ და არა როგორც „უდაბნო“,<sup>45</sup> რაც „მთარგმნელის“ მხრიდან უფრო ბუნებრივი იქნებოდა. „ღული“<sup>46</sup>, რომელიც ფანტასტიკური არსებაა ქალის სახით, რუსულად არის гуль, თუმცა თარგმანში სწორი ვარიანტი წერია – „ღული“.<sup>47</sup> ეჭვი ჩნდება, რომ არაბულის უცოდინარმა „მთარგმნელმა“ ისევ უკვე არსებული ქართული ვარიანტით ისარგებლა.

3. ასევე ქართული არსებული თარგმანიდან უნდა იყოს გადაწერილი ფრაზა „მე ძუ ჯინი ვარ, ის კი ხვალი იყო.“<sup>48</sup> რატომ არ გადათარგმნეს რუსულ ვარიანტში გამოყენებული „ჯინი და ჯინია“? ეტყობა, აქაც უფრო მოეწონათ უკვე არსებული ქართული ვარიანტი, სადაც თავის დროზე „ძუ“ და „ხვალი“ გამოიყენეს იმიტომ, რომ გრამატიკული სქესის კატეგორია არ არის ქართულში.
4. ქართულიდან ჩანს გადაწერილი ასევე ფრაზა: „და აქამდე არასოდეს ყოფილა ოდეს, ნელსაცხებელი მომეფრქვიოს ჩემ სამყოფელში.“<sup>49</sup> რუსულ ვარიანტშია: «И пристойно мне надуть мой дом.»<sup>50</sup> ხოლო უკვე არსებულ ქართულში: „და ჯერ არს ჩემთვის, ჩემ სადგომში რომ მოვაფრქვიო ქაფური, მუში და ვარდისწყალი.“ пристойно „აქამდეს“ არ ნიშნავს. „მთარგმნელმა“ ისევ ქართულიდან „გადათარგმნა“, ოღონდ შეცდომით. კერძოდ, „ჯერ“ გადათარგმნა როგორც „აქამდე“. „ჯერ“ მართლაც ნიშნავს „აქამდე“, მაგრამ „ჯერ არს“ აქ ნიშნავს „მმართველს, მივეალება, უნდა.“ გამოდის, „მთარგმნელს“ არ ესმის, რას ნიშნავს ქართული „ჯერ არს“, თავი რომ დაეანებოთ რუსულ пристойно –ს და უნიჭოდ იწერს უკვე არსებული ქართული თარგმანიდან.

უკვე არსებული ქართული თარგმანიდან ფრაზების გადაწერისას „მთარგმნელი“ იყენებს შემდეგ ხერხებს:

- ა) ნანა ფურცელაძის და თინა მარგველაშვილი მიერ შესრულებული ქართული აკადემიური თარგმანიდან სიტყვა-სიტყვით იწერს ფრაზებს:
  1. „გისმენ და გემორჩილები“<sup>51</sup>, „ღიდ არს ალაჰი“<sup>52</sup> და სხვ.
  2. უკვე არსებულ თარგმანშია: „...ვერ გავიმეტე და მწყემსს ვუბრძანე, წაეყვანა.“<sup>53</sup> ახალ „თარგმანშია“: „...ვერ გავიმეტე და მწყემსს ვუბრძანე, წაეყვანა.“<sup>54</sup>

<sup>45</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 42.

<sup>46</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 42.

<sup>47</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 39.

<sup>48</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 41.

<sup>49</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი II, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 35.

<sup>50</sup> *Тысяча и Одна Ночь*, перевод с арабского М.А Салье, Том I, Ночи 1-38, Л., 1958, გვ. 369.

<sup>51</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 123, 152, 206...

<sup>52</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 99.

<sup>53</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 32.

<sup>54</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელები“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 21.

5. უკვე არსებულ თარგმანშია: „სახლი მაღალი იყო და სვეტებზე იდგა.“<sup>55</sup> ახალ „თარგმანშია“: „სახლი მაღალი იყო და სვეტებზე იდგა.“<sup>56</sup>
6. უკვე არსებულ თარგმანშია: „სამი ათასი დინარი დაგვიტოვა. მე დუქანი გავხსენი.“<sup>57</sup> ახალ „თარგმანშია“: „სამი ათასი დინარი დაგვიტოვა. მე დუქანი გავხსენი.“<sup>58</sup>
7. უკვე არსებულ თარგმანშია: „ღმერთს შეწევნა სთხოვა ჩემ წინააღმდეგ. შჯულის მიღება და დამორჩილება შემომთავაზა.“<sup>59</sup> ახალ „თარგმანშია“: „ღმერთს შეწევნა სთხოვა ჩემ წინააღმდეგ და შჯულის მიღება და მორჩილება შემომთავაზა.“<sup>60</sup>
8. უკვე არსებულ თარგმანშია ფორმულა: „შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.“<sup>61</sup> ახალ „თარგმანშია“: „შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.“<sup>62</sup> სიტყვა „შემოათენდა“ არც არაბულ, არც რუსულ, არც სხვა რომელიმე ვარიანტშია, რადგან ის, რაც სხვა ენაში ორი სიტყვის საშუალებით გადმოიცემა მაგ. – *застигло утро „მოუსწრო დილაშ“*, ქართულში შეიძლება ერთი ზმნით გადმოიცეს.

ბ) ოდნავ ცვლის უკვე არსებულ ვარიანტს, ამატებს სიტყვას:

1. „შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა მისთვის ნებადართული თხრობა“, ან „შაჰრაზადს ამ დროს შემოათენდა და შეწყვიტა მისთვის ნებადართული თხრობა“, ან „შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული თხრობა“,<sup>63</sup> ან „ამ დროს შაჰრაზადს განთიადმა მოუსწრო და თხრობა შეწყვიტა“, ან „შაჰრაზადს დილამ მოუსწრო და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები“<sup>64</sup> და სხვ. ორიგინალ ქართულ თარგმანში არსებული ფრაზის ასეთი მრავალფეროვანი გადმოღებით „მთარგმნელი“ ფორმულარობის პრინციპსაც არღვევს, რადგან არ ესმის, რომ ფორმულა ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი და „ათას ერთი ღამის“ კონსტრუქციის მთავარი ელემენტია; შემთხვევით არ მთავრდება ასე მისი ყოველი ღამე, ნაწილი.
2. უკვე არსებულ თარგმანშია: „სულაიმანმა ღმერთს შეწევნა სთხოვა ჩემს წინააღმდეგ, სჯულის მიღება და მორჩილება შემომთავაზა.“<sup>65</sup> ახალ

<sup>55</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 78.

<sup>56</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 64.

<sup>57</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 35.

<sup>58</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 24.

<sup>59</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 44.

<sup>60</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 52.

<sup>61</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 74...

<sup>62</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, გვ. 80, 98, 124, 148, 186, 229, 240, 249, 272, 283; ტომი II, 8, 20, 46, 54, 69, 74, 77, 80, 87, 92, 100, 104, 112, 134, 138, 145, 148, 154, 158, 173, 180, 191, 194, 220, 226, 247, 179, 284, 288; ტომი III, 16, 18, 21, 33, 58, 69, 88, 110, 116, 125, 130, 145, 154, 180, 203, 205, 230, 234, 276, 277, და ა.შ.), ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012;

<sup>63</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი VII, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ.3,7,9,16...

<sup>64</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 5, 10, 12...

<sup>65</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 44.



- „თარგმანშია“: „ღმერთს შეწევნა სთხოვა ჩემ წინააღმდეგ და რჯულის მიღება და მორჩილება შემომთავაზა.“<sup>66</sup>
3. უკვე არსებულ თარგმანშია: „ხელმწიფე შემფოთდა, ფერი ეცვალა და ვეზირს ჰკითხა.“<sup>67</sup> ახალ „თარგმანშია“: „ხელმწიფეს ფერი ეცვალა და ვეზირს ჰკითხა.“<sup>68</sup>
  4. უკვე არსებულ თარგმანშია: „ბატონო, ერთ სასიხარულო ამბავს გეტყვი.“<sup>69</sup> ახალ „თარგმანშია“: „ბატონო, ერთი სასიხარულო ამბავი მინდა გითხრა.“<sup>70</sup>
  5. უკვე არსებულ თარგმანშია: რამდენი ფული დავხარჯეთ და შენ გაქვს კი რაიმე, რომ ხარჯი აგვინაზღაურო?... სიყვარული უფულოდ ერთი მარცვლის წონაც არ ღირს.“<sup>71</sup> ახალ „თარგმანშია“: „რამდენი ფული დავხარჯეთ. გაგაჩნია რამე, ხარჯი რომ აგვინაზღაურო?... სიყვარულს უფულოდ ერთი მარცვლის ფასიც არა აქვს.“<sup>72</sup>
  6. უკვე არსებულ თარგმანშია: „მინდა, ჩემი ცოლი ისე მოვნუსხო, როგორც იმან მომნუსხა.“<sup>73</sup> ახალ „თარგმანშია“: „მინდა, ჩემი ცოლი ისე მოვაჯადოვო, როგორც იმან მომნუსხა.“<sup>74</sup>

გ) სიტყვებს თანმიმდევრობას უცვლის:

1. უკვე არსებულ თარგმანშია: „ფვიცავ ალაჰს, არ მოვკლავ, ვიდრე ამბის დასასრულს არ მოვისმენ.“<sup>75</sup> ახალ „თარგმანშია“: „ფვიცავ ალაჰს, სანამ ამბის დასასრულს არ მოვისმენ, არ მოვკლავ.“<sup>76</sup>
2. უკვე არსებულ თარგმანშია: „ჩვეულებად ჰქონდა, დღეში ოთხჯერ გადაეგდო ბადე, არც მეტად, არც ნაკლებად.“<sup>77</sup> ახალ „თარგმანშია“: „ჩვევად ჰქონდა, ბადე არც მეტი არც ნაკლები, ოთხჯერ გადაეგდო.“<sup>78</sup>
3. უკვე არსებულ თარგმანშია: „ქალმა თუ რაიმე მოინდომა, იმას ვერაფერი დაუდგება წინ.“<sup>79</sup> ახალ „თარგმანშია“: „ქალი თუ რამეს მოინდომებს, იმას წინ ვერაფერი დაუდგება.“<sup>80</sup>
4. უკვე არსებულ თარგმანშია: „სულაიმან იბნ დაუდს ვეჩხუბებოდით მე და ჯინნი სახრი,“<sup>81</sup> ახალ „თარგმანშია“: „მე და ჯინნი სახრი სულეიმან იბნ დაუდს ვეჩხუბებოდით.“<sup>82</sup>

---

<sup>66</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 32.  
<sup>67</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 50.  
<sup>68</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 61.  
<sup>69</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 33.  
<sup>70</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 21.  
<sup>71</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 80.  
<sup>72</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 64.  
<sup>73</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 28.  
<sup>74</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 19.  
<sup>75</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 32.  
<sup>76</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 20.  
<sup>77</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 41.  
<sup>78</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 36.  
<sup>79</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 22.  
<sup>80</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 10.  
<sup>81</sup> „ათას ერთი ღამე“, ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 44.  
<sup>82</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 32.

5. უკვე არსებულ თარგმანშია: „ალაჰს ვფიცავ, არ მოვკლა, ვიდრე ამბის დასასრულს არ მოვისმენ.“<sup>83</sup> ახალ „თარგმანშია“: „ფიცავ ალაჰს, სანამ ამბის დასასრულს არ მოვისმენ, არ მოვკლავ.“<sup>84</sup> და უამრავი სხვა.

შეუძლებელია ყველა მაგალითის მოტანა. საქმე გვაქვს ათ გადაწერილ წიგნთან (რვატომიანი „ათას ერთი ღამე“ რომ ათტომიანი გახდა, აქაც უთუოდ ფინანსური ინტერესები იქნებოდა წარმმართველი). ახლადგამომცხვარ „თარგმანში“ გვხვდება მთელი რიგი ფრაზებისა, რომელიც არც ორიგინალში, არც რუსულ თარგმანში არ არის. ისინი უკვე არსებულ აკადემიურ ქართულ თარგმანში ფრჩხილებშია ჩასმული დაზუსტების მიზნით. აქ ფრჩხილები მოხსნილია. ნ. ფურცელაძის მიერ შესრულებულ თარგმანშია: „ინანა მეფემ, შევარდენს რომ ფრთები მოჰკვეთა (მაგრამ რაღას იზამდა).“<sup>85</sup> ახალ „თარგმანში“ – „დიდად ინანა ხელმწიფემ თავისი გაცხარება, მაგრამ რაღას იზამდა.“<sup>86</sup>

როგორც ჩანს, „მთარგმნელთა კოლეგიას“ ძალიან გაუჭირდა ლექსების თარგმნა. ამიტომ ახალ გამოცემაში „ათას ერთ ღამეში“ ჩართული ლექსების დიდი ნაწილი საერთოდ არ არის გადმოქართულებული, ზოგიერთი ლექსის თარგმანი არ არის სწორი,<sup>87</sup> უმრავლესობა კი უსუსურობისა და უცოდინრობის ნიმუშია. მაგალითად:

„კაცს უნდა ის, რაც თავად სურს,  
მაგრამ ალაჰი მიაგებს,  
რაც თავად სწადია.“<sup>88</sup>

ან:

„რა კარგად უთქვამს პოეტს:

მარტოობაში სჯობს ცხოვრება  
არ ენდო უცხოს  
ესაა ჩემი დანაბარები  
და დანარჩენი შენზეა ახლა!“<sup>89</sup>

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, რაც უნდა, რა ენიდანაც უნდა, თარგმნოს და გამოაქვეყნოს. მხოლოდ უნდა მიუთითოს, საიდან თარგმნა. ეს ხომ ელემენტალურია. მართალია, ვერავინ ვერავის დაუშლის რამის თარგმნას, მაგრამ მთარგმნელი პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს პირველ რიგში ლიტერატურული ძეგლის და მკითხველის მიმართ. სამწუხაროდ, „ათას ერთი ღამის“ ჩვენ მიერ განხილულ თარგმანში ეს არ იგრძნობა. არც ერთ მთარგმნელს არა აქვს მორალური უფლება, დაამახინჯოს ორიგინალი, რაც არ უნდა ეჩქარებოდეს მისი გამოცემა. ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკამ ხუთ თვეში „ათას ერთი ღამის“ ათი ტომი გამოსცა

<sup>83</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 32.

<sup>84</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 20.

<sup>85</sup> „ათას ერთი ღამე“; ტომი I, არაბულიდან თარგმნა ნ. ფურცელაძემ, თბილისი, 1969; გვ. 53.

<sup>86</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 41.

<sup>87</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 176, 207...

<sup>88</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი V, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 13.

<sup>89</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი V, ქ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 47.

მაშინ, როცა თავის დროზე ორიგინალიდან მარტო I ტომის თარგმნას სამი წელი დასჭირდა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ახალ გამოცემაში უკვე არსებული თარგმანია გამოყენებული.

აღბათ, ყველას ახსოვს „ათას ერთი ღამის“ ერთი ცნობილი ფორმულა: „და ეს ამბავი რომ თვალის უპეებზე დაიწეროს...“ თუნდაც ეს ერთი ფრაზა გაცილებით სჯობს ახალ გამოცემაში გაჩენილს: „ის რომ ნემსით დაიწეროს თვალების უპეებში...“<sup>90</sup> რვატომეულის ბოლო ტომი 1997 წელს გამოვიდა და ის არაფრითაა ყავლგასული. ახალი ათტომეული კი გაუძღვებ დროს?! ახალი თარგმანი არ ვარგა და შესაბამისად, ის დროს ვერ გაუძღვებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ 2012 წელს ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული „ათას ერთი ღამის“ „მთარგმნელებმა“ (გაურკვეველია, რა ენიდან) არ იციან არაბული ენა, სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულსა და რუსულს, არ ესმით შუა საუკუნეების ლიტერატურის სპეციფიკა, ვერ ერკვევიან არაბულ კულტურულ რეალიებში (თარგმანის თეორიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) და იპარავენ სხვის ნაშრომს. გარდა ამისა, ისინი ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას სათარგმნი ძეგლისა თუ მკითხველის მიმართ. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მათი „ნაღვაწი“ გაიყიდა, თან საკმაოდ დიდი ტირაჟით. ეს ფაქტი (გარდა იმისა, რომ ორიგინალიდან მთარგმნელისთვისაა მტკივნეული), დანაშაულია მომავალი თაობის, მოზარდი მკითხველების წინაშე. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მთარგმნელთა საავტორო უფლებებს.

---

<sup>90</sup> „ათას ერთი ღამე“ ათ ტომად, ტომი I, ჟ. „თბილისელების“ ბიბლიოთეკა, 2012; გვ. 17.